



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 238
31/01/2018

ქალაქი ბათუმი

238-05-4-201801311007



ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებისთვის შექმნილი ინვენტარის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა.ბაჟაშვილის 2017 წლის 25 დეკემბრის №3701-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებას თხოვების ფორმით, გადაეცეს სოფელ მახინჯაურის, სოფელ ფერიისა და სოფელ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღებისათვის შექმნილი ინვენტარი საერთო ღირებულებით 291140,94 (ორასოთხმოცდათერთმეტიათას ასორმოცი ლარი და ოთხმოცდაათოთხეტი თეთრი) ლარი, თანახმად №1, №2 და №3 დანართებისა.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიულ განყოფილებას (გიორგი ბერიძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან თხოვების ხელშეკრულება, ხოლო მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ანა ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) და ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებას მიღებული ქონების მიმართ ყოველწლიური საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება.

4. ბრძანება შეიძელება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სადაც მხარეს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

